www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2017

01.10.2018

www.geostat.ge

01.10.2018

არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევის შედეგები

2017 წელი
(შედარებები გაკეთებულია ფაქტობრივ ფასებში)

არაკომერციული ორგანიზაციები წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებელ იურიდიულ პირებს ან სოციალურ ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი ინსტიტუციური ერთეულებიდან მოგების ან ფინანსური კეთილდღეობის მიღებაზე.

არაკომერციული ორგანიზაციების პროდუქციის ძირითადი ნაწილი რეალიზდება უფასოდ ან ეკონომიკურად უმნიშვნელო ფასებში. აღნიშნული არაკომერციული ორგანიზაციები იმყოფებიან თვითდაფინანსებაზე და სახსრებს ძირითადად იღებენ შემოწირულობებისა და საკუთარი წევრების შენატანების სახით. ისინი შემოსავლებს იღებენ აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი მატერიალური და ფინანსური აქტივებიდან. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ დამხმარე კომერციული საქმიანობის უფლება.

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2017 წელს არაკომეციული ორგანიზაციების სექტორის ბრუნვის მოცულობამ დამხმარე კომერციული საქმიანობიდან 101,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 3,0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს:

არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი

გრაფიკი №1



ბრუნვის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი მოდის ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგზე (25,5 პროცენტი), აგრეთვე, განათლების (24,8 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენების (21,5 პროცენტი), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობებისა (11,1 პროცენტი) და სხვა სახის მომსახურების გაწევის (10,8 პროცენტი) დარგის ორგანიზაციებზე.

ბრუნვის მოცულობა დაახლოებით 2,6-ჯერაა გაზრდილი ტრანსპორტირება და დასაწყობების დარგში, 2,4-ჯერ მშენებლობაში, 2,2-ჯერ - ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგში, 22,3 პროცენტით ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგში, 13,4 პროცენტით განათლებაში და 10,6 პროცენტით პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგში.

პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) გამოშვების მოცულობამ არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში 2017 წელს 973,1 მლნ. ლარი შეადგინა (აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 4,4 პროცენტი).

პროდუქციის გამოშვებაში ყველაზე დიდი წილით გამოირჩეოდა სხვა სახის მომსახურების (27,3 პროცენტი), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების (24,9 პროცენტი), ხელოვნება, გართობა და დასვენების (17,4 პროცენტი), განათლების (11,8 პროცენტი) და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების (10,3 პროცენტი) დარგის ორგანიზაციები.

არაკომერციულ ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობამ 2017 წელს 52,9 ათასი კაცი შეადგინა, საიდანაც 53,7 პროცენტი ქალია, ხოლო 46,3 პროცენტი კაცი. აღნიშნული მაჩვენებელი 2016 წელთან შედარებით 0,1 პროცენტითაა შემცირებული:

არაკომერციული ორგანიზაციების ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი



დასაქმებულთა ყველაზე დიდი ნაწილი – 29,2 პროცენტი – განათლების დარგის ორგანიზაციებზე მოდის. 24,1 პროცენტი - ხელოვნება, გართობა და დასვენების დარგის ორგანიზაციებზე, 14,5 პროცენტი - ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 12,9 პროცენტი - სხვა სახის მომსახურების დარგის ორგანიზაციებზე, 7,2 პროცენტი - წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, 6,0 პროცენტი - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობების დარგის ორგანიზაციებზე, ხოლო დანარჩენი 6,0 პროცენტი სხვა დარგებში ნაწილდება.

დასაქმებულთაგან დაქირავებულია 52,0 ათასი (მათ შორის ქალია 53,8 პროცენტი). დაქირავებულთა რაოდენობა 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით გაზრდილია 0,5 პროცენტით.

წყარო: არაკომერციული ორგანიზაციების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური)

შენიშვნა: გამოკვლევის შედეგებში 2011 წლიდან 2013 წლის ჩათვლით ჩართულია სკოლამდელი დაწესებულებები (ბაგა-ბაღები), ფასიანი სწავლების გამო, რაც ბიზნეს რეგისტრის განახლებასთან ერთად მაჩვენებელთა ზრდის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად გვევლინება

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge